




# საშურის მოახლა



№20 (302)

5 ივლისი, ორშაბათი,

2021 წელი

## საშურში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა 2021 წლის სექტემბერში დასრულდება

პროექტი ითვალისწინებს სტადიონის ხელნაწერსაფარიანი მოედნის, ორი ათას მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნების, სპორტული განათების, დამხმარე ნაგებობების, სარწყავი სისტემის,



მიმდინარე სამუშაოები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა ვალერიან მჭედლიძემ, საშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად ქურდაძემ, საშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მისხილ ჯანაშვილმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

პროექტს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ახორციელებს. მისი ღირებულება 6.5 მილიონი ლარია.



საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობასა და სხვა აუცილებელი სამუშაოების ჩატარებას. სტადიონის მიმდებარედ მოეწყობა ღია ავტოსადგომიც.

## ქემფერის სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას რეგიონის სახელმწიფო რწმუნებული გაეცნო



და საშურის მაჟორიტარ დეპუტატთან ზაზა დუგლაძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა. როგორც რწმუნებულმა აღნიშნა, სკოლა 150 მოსწავლეს იქნება გათვლილი და ახალი სასწავლო წლისთვის ადგილობრივი მოსწავლეები განახლებული სკოლით შეძლებენ სარგებლობას. “დიდი მნიშვნელობა აქვს საგნმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რომ მოსწავლეებსა და პედაგოგებს შესაბამისი გარემო-პირობები შევუქმნათ. განათლების ხელმისაწვდომობასთან ერთად ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა უმთავრესი პირობაა”, - აღნიშნა ვალერიან მჭედლიძემ.



საშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემფერში, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსების ფარგლებში, საჯარო სკოლას სრული რეაბილიტაცია უტარდება. პროექტი ითვალისწინებს შენობის სრულად განახლებას, წყლის რეზერვუარის მოწყობას, გადახურვას, კარ-ფანჯრების შეცვლას, ასევე, აშენდება სპორტული მოედანი. საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა ვალერიან მჭედლიძემ ქარელისა

## - ეს ჩვენი ისტორიაა, ეს ჩვენი წარსულია - „ტაშისკრობა 2021“

განახლდა ტრადიციული დღესასწაული „ტაშისკრობა“, რომელიც მიემდგვნა 1609 წელს, ნახვეტვრებთან, გიორგი სააკაძის სარდლობით, მტერზე ძლევამოსილი გამარჯვების 412-ე წლისთავს. ტაშისკრის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში, ყოვლადუსამღვდელოესმა, სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსმა სვიმეონმა აღავლინა სადღესასწაულო საღვთო ლიტურგია. მეუფე სვიმეონის გადაწყვეტილებით, ტაძრის წინამძღვრად და სოფელ ტაშისკარის მოძღვრად დადგინდა მამა ალექსი (ციცქიშვილი). ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატის ზაალ (ზაზა) დუგლაძის და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, კულტურის სამსახურის და საპატრიარქოს

ჩოხოსანთა საზოგადოების ორგანიზებით, ისტორიულ „საკაკაძის წაბლთან“, სადაც ოსმალოებზე გამარჯვება იზეიმა ქართველმა ჯარმა, გაიმართა საზეიმო კონცერტი. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ: საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ზვიად სეხნიაშვილი, ისტორიკოსები, მწერლები... მონაწილე ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები გაწევრიანდნენ საპატრიარქოს ჩოხოსნებში. აქვე დაფუძნდა სოფელ ტაშისკარის სადროშო, რომელსაც ბადრი ხაჩიძე უხელმძღვანელებს. ტრადიცია აღდგა. იყო ქართული სულის ზეიმი და ზეობა!!!

(ამ ზეიმის ამსახველი ფოტოკოლაჟი იხილეთ მე-6 გვერდზე, ტაშისკრის ბრძოლის პერიპეტეები კი - მე-2 გვერდზე)



# ცაშისკრის ბრძოლა - "მაშინდელს გამარჯვებასა მართლად ვერ მოსთვდის ენანი"

(ნანყვეცი წიგნიდან - „ხაშურის მუნიციპალიტეტის ცოპონიშია - გაცოცხლებული ისტორიები“)

ცხრაშუხის, დამხხულის, სავანის უბნის, ტეზრის, ქვიშხეთისა და ცაშისკრის ცოპონიშიაში დასტურდება ცოპონიში ნახვეტა (ნახვეტრები). ყველა აქ ჩამოთვლილ სოფელს ნახვეტაზე (ნახვეტრებზე) თავიანთი სავარგულები გააჩნიათ. ცოპონიშის შინაარსზეც ყველა თანხმდება, რომ აქ ქარი იცის და მიწას ხვეტს, იღებს. ქვიშხეთელები აკონკრეტებენ ნახვეტას (ნახვეტრების) ადგილმდებარეობას: იწყება იქიდან, სადაც მდინარე შოლა მდინარე მტკვარს უერთდება და გრძელდება ცხრაშუხამდე. ცხრაშუხელები მიგვანიშნებენ, რომ ნახვეტა (ნახვეტრები) მდებარეობს მათი სოფლის დასავლეთით. ეს ცოპონიში, როგორც ვხედავთ, რამდენიმე სოფლისთვისაა საზიარო.

ჩვენს ყურადღებას ეს ცოპონიში არა მარტო ამით, არამედ იმიტომაც იქცევს, რომ სწორედ აქ, ნახვეტაზე (ნახვეტრებზე) 1609 წლის 27



ივნისს გაიმართა ქართველებსა და ყირიმელ თათრებს შორის ცაშისკრის სახელწოდებით ცნობილი ბრძოლა.

1609 წლის ივნისში, ფერად ფაშას მეთაურობით, ქართლში მოულოდნელად შემოიჭრა თურქ-ოსმალთა ლაშქარი, რომლის შემადგენლობაშიც იყო 2000 ყირიმელი თათარიც. სამეცნიერო ლიტერატურაში თურქ-ოსმალთა ლაშქრის რაოდენობის შესახებ ერთი აზრი არ არის. სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა ციფრს ასახელებს. ასეთივე მდგომარეობაა ქართველთა ლაშქრის რაოდენობის განსაზღვრის დროსაც. უახლესი მონაცემებით, თურქ-ოსმალთა ლაშქრის რაოდენობის შესახებ 60 000-ს მიუთითებენ, ხოლო ქართველთა ლაშქრის რაოდენობას 10 000-ით განსაზღვრავენ (ვ. ყორანაშვილი, 2009:10). ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველთა ლაშქარში 700 ირანელიც მოიაზრება, რომლებიც შაჰ-აბასის ბრძანებით, თბილისში იყო ჩაყენებული.

მტრის მიზანი იყო ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის ხელში ჩაგდება და ქართლის დაპყრობა.

თურქ-ოსმალთა ლაშქრობას წინ უსწრებდა, 1607 წელს, ქართლის სამეფოს მიერ სამცხის ათაბაგის ქვრივის-ელენესადმი დახმარება მესხეთის თურქთაგან გათავისუფლებაში. ასე, რომ თურქ-ოსმალეები ერთგვარ რევანშს ისახავდნენ მიზნად. თურქებმა, ქართლში შემოსვლამდე, სასტიკად მოაოხრეს მესხეთი. ამ ამბის გაგებისთანავე, ლუარსაბ II-მ, მესხეთიდან ქართლში შემომავალი გზების კონტროლი და თვალთვალი ბრძანა. ამ მიზნით, 2000 - კაციანი ლაშქარი, ზაქარია და იარაღ ბარათაშვილების ხელმძღვანელობით, გაგზავნა.

თურქებს, როგორც ჩანს, ინფორმაცია წინდაწინ ჰქონდათ ლუარსაბ II ცხირეთში ყოფნის შესახებ. მათ ჯავახეთისა და თრიალეთის მთები გადმოიარეს და მანგლისში შევიდნენ. მტრის მოძრაობა ზაქარიამ და იარაღიმ, სამწუხაროდ, ვერ შეამჩნიეს.

თათრებმა მანგლისში კვეთელი მღვდელი თევდორე დაიჭირეს და მეგზურობა უბრძანეს ცხირეთისაკენ. მღვდელმა თურქები მოატყუა, ცხირეთის ნაცვლად ქვენადრისაკენ წაიყვანა. მტერი საკმაოდ დაშორდა ცხირეთს. თურქები მიუხვდნენ მღვდელს და წამებით მოკლეს. ამასობაში მეფემ შეიტყო მათი ქართლში შემოსვლა და ლაშქრის შეყრა ბრძანა.

გიორგი სააკაძემ, სანამ ქართლის ლაშქარი შეიყრებოდა, ახლო-მახლო სოფლებში 400-მდე მეომარი შეკრიბა და გადაწყვიტა თემის ხეობაში, სხერტის ჭალაში დაბანაკებულ მტერს მოულოდნელად თავს დასხმოდა.

ამასობაში, მტერს ზურგიდან მოადგა ზაქარიას და იარაღის რაზმები. ეს იყო მოულოდნელობის ეფექტი, რამაც არეულობა შეიტანა მტრის რიგებში. მაგრამ თურქებმა შეძლეს სიტუაციის თავის მხარეზე შემობრუნება და ქართველთა მცირერიცხოვანი ლაშქრის აღყაში მოქცევა დაიწყეს. მტრის ნასროლმა ისრებმა შეიწირეს ზაქარიაც და იარაღიც.

თითქოს გამოუვალი მდგომარეობა იქმნებოდა ქართველთა ირგვლივ, რომ ამასობაში მტერს ზურგიდან მოადგა გიორგი სააკაძე ლაშქარით. ამ ფაქტმა მდგომარეობა ქართველთა სასარგებლოდ შეცვალა. ამას დაერთო ისიც, რომ ზაზა ციციშვილმა თათარ-ოსმალთა ერთ-ერთ ფაშას ხმლით თავი გააგდებინა. ამის შემხედვარე თურქებში უფრო მეტი არეულობა დაიწყო. მტერს ახლა ორი მიმართულებით უხდებოდა ბრძოლა, რაც მათ გაშლის საშუალებას არ აძლევდა და რასაც ხელს უშლიდა აგრეთვე სხვადასხვა მხრიდან შემოსული ქართველთა ლაშქარიც.

ასეთ ვითარებაში თურქებმა უკან დახევა ამჯობინეს და მდინარე მტკვრის დინების საპირისპიროდ დაიწყეს მოძრაობა. გზად მი-

მავლებმა გორში შესვლა გადაწყვიტეს, მაგრამ ერთი სომეხი მღვდლის წყალობით, რომელმაც ხიდი აჰყარა და განგაში ატეხა, ეს ვერ შეძლეს. ამასობაში ქართველებიც შეიყარა მეორე მხარეს და მტერს ისრები დაუშინეს. თურქები იძულებული გახდნენ, კვლავ მდინარეს აჰყოლოდნენ.

გზადაგზა ოსმალები ყველაფერს ანადგურებდნენ, „დაწვეს და დადაგეს საციციანო“, - წერს მემპტიანე.

მტერს უკან მისდევდა ქართველთა ლაშქარი, რომელსაც უკვე შეერთებოდნენ საციციანოსა და საბარათიანოს ლაშქარი. მათთან ერთად იყო ლუარსაბ მეფეც. რაც შეეხება შიდა ქართლის ჯარს, რომელშიც შედიოდნენ მუხრანბატონის, არაგვისა და ქსნის ერისთავების, ამილახურისა და თბილისის ციხისთავის რაზმები, მტკვრის მარცხენა მხარეს მოძრაობდნენ და ნაბრძანები ჰქონდათ, სურამში დახვედროდნენ ლუარსაბისა და გიორგი სააკაძის ლაშქარს.

ოსმალები სოფელ „ბრბონაში მოვიდნენ“ და იქ დაბანაკდნენ. ამავე დროს მტკვრის გადალახვის სამზადისს შეუდგნენ. ახლო-მახლო სოფლებში დაანგრიეს ხის სახლები, მტკვარზე ხიდი გამართეს, გადავიდნენ მეორე მხარეს და ადგილ ნახვეტაში დაბანაკდნენ. ლუარსაბ მეფე და გიორგი სააკაძე ლაშქრით ახალდაბაში ჩავიდნენ. ახალდაბის ხიდი აღიდებულ მტკვარს წაეღო. დამე ახალდაბაში გაათიეს. მეორე დღეს, დილით, ცხენზე ამხედრებული ქართველთა ლაშქარი აღიდებულ მტკვარს ეკვეთა. ქართველები მშვიდობით გავიდნენ მდინარის მარცხენა სანაპიროზე უდანაკარგოდ. იოსებ სააკაძე „დიდმოურავიანში“ ამ მომენტს ასე აღწერს:

„წყალს უზიანოდ გავედით, - ეს დიდი სასწაულობა!

ივნისში მტკვარს ვინ გასულა, არ მიხდომოდეს რჩულობა?

არ მოგვრჩობია ერთიცა, იმდენი ერთა სულობა,

ცხენი ცურვა გაუადვილდა, გასვლა თუ გამოსულობა“ (იოსებ თბილელი).

ქართველებმა, მტკვრის მარცხენა მხარეს გადმოსვლით, მტერს ახალციხისკენ გასასვლელი გზა მოუჭრეს. ამასთან დაკავშირებით დამატებით ღონისძიებასაც მიმართეს. ახალციხისკენ მიმავალი გზა, რომ საიმედოდ ყოფილიყო დაცული ამ მიზნით, შალვა ქსნის ერისთავი ლაშქრით კორტანეთში დააყენეს: „გზები შეუკარ კორტანეთს, შალვა უფროსი მეკრისა“ - დასძინეს გიორგი სააკაძე.

ამის შემდეგ, ქართველთა ლაშქარი ისე ჩაჰყვა მტკვრის მარცხენა მხარეს დინების მიმართულებით, რომ ოსმალებმა ვერ შეამჩნიეს. ისინი სურამის ბოლოს მივიდნენ და შიდა ქართლის ლაშქარს შეუერთდნენ:

„სურამის ბოლოს მოვიდნენ, ქართველნი შეუყარენით,

იმთაც დიდად იამა, ჩვენ ხომ მწვედ გავიხარენით,

ომსა ბელადელს ყველანი, არვინ არ დავიზარენით,

ღმერთო, მოგხედე, თათარხნის რომ სისხლი ხარბად ვღვარენით!“ (იქვე)

ოსმალები, რომელთაც ყველა მხრიდან გზები მოჭრილი ჰქონდათ, იძულებული იყვნენ, ბრძოლა ნახვეტაზე (ნახვეტრებზე) მიეღოთ. მათ თავიანთ ბანაკს თხრილი შემოავლეს. ტილოს ტომრებში ქვიშა ჩაჰყარეს და თხრილებზე შემოალაგეს.

ოსმალები რიცხოვნობით, მართალია, ქართველებს სჭარბობდნენ, მაგრამ აღჭურვილობით საგრძნობლად ჩამოუვარდებოდნენ. ისინი მხოლოდ მშვილდ-ისრითა და ხმლით იყვნენ შეიარაღებული:

„იმ კაცსა ვჰკითხეთ: „საბრძოლი მათში რა უფრო ურევდა?“

გვითხრა, თუ: „მშვილდით იბრძვიან, ფოლადი ისრის პირვედა,

თოფი და შუბი არა აქეთ, საყალბო მწვე ქვითკირევდა“.

ქართველებს შეიარაღებაში მშვილდისა და ხმლის გარდა შუბი და ლახტი ჰქონდათ. გარკვეული ნაწილი თოფითაც იყო შეიარაღებული.

ოსმალთა ბანაკიდან გამოპარულმა ქართველმა ტყვემ დაწვრილებით



აცნობა ქართველთა სარდლობას მტრის ბანაკში არსებული მდგომარეობა. ჩანდა, რომ უპირატესობა ქართველთა მხარეზე იყო. ამას კი გააზრებულად გამოყენება სჭირდებოდა.

ბრძოლის დაწყების წინ, გაიმართა სამხედრო თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ლუარსაბ მეფე, გიორგი სააკაძე, ზაზა ციციშვილი, ნუგზარ არაგვის ერისთავი, შალვა ქსნის ერისთავი, აქვე იყო თბილისის ირანული გარნიზონის უფროსი დედუ-მაჰმად-ხანი.

სამხედრო თათბირზე საბრძოლო მოქმედების რამდენიმე გეგმა განიხილეს:

„ზოგმან თქვა: „ახლავ მიუხდეთ, თავს გარდვადინოთ მტკვრია!

რადას უდგავართ უომრად, რა ახლო ვნახეთ მტერია?“



# ცაშისკრის ბრძოდა - "მაშინდელს გამარჯვებას მართლად ვერ მოსთვდის ენანი"

ზოგმან თქვა: „ზეით მოუხდეთ, შეიქნან გასაშტერია, მათ დავანანოთ აქ მოსვლა, არ ჰყვანდეს პატრონ-ტერია!“ (იქვე:602). ნუგზარ არაგვის ერისთავმა თავის მხრივ მეტად საინტერესო გეგმა შესთავაზა თათბირის მონაწილეებს:

„ნუგზარ თქვა: „ღამით დავესხნეთ, მთის კაცთ ეს მიყვებს რჩევანი. მრავალჯერ გაგვმარჯვებია, ასრე გვაქვს ომის ჩვევანი?“

თათბირის სხვა მონაწილეებმაც გამოთქვეს თავიანთი აზრი:

„სხვათა თქვეს: „დიდას მიუხდეთ, შევქნათ ბედისა წყევანი, ერთს წარექციოს ასი და ასს-ათასისა ძლევანი!“ .

გიორგი სააკაძემ თათბირის მონაწილეებს თავისი გეგმა შესთავაზა, რაც ითვალისწინებდა უეცარ და სწრაფ თავდასხმას: „თხრილის პირს გარშემო მეთოფეები შემოვანავით და ცხენოსანი მინდვრათ მივიდნეთ“.

იოსებ თბილელი ასე გადმოგვცემს გიორგი სააკაძის გეგმას: „დილაზედა რაზმი ვაწყობ, მათკენ ვიქმნეთ ჩვენ წახრილი, სადაც დგანან, აქეთ ნაპირს წაუვლია იმათ თხრილი, იმას ასრე გარდავიდეთ, არვინ იქმნას გან გახრილი, გარ მოვიგზნათ დახოცილი, როგორც დოლაბს ედვას ხრილი!“.

სამხედრო თათბირმა გიორგი სააკაძის გეგმა მოიწონა და სარდლობაც მას მიანდო. იოსებ თბილელი ბრძოლის დაწყებას ასე გადმოგვცემს:

„თხრილის პირს ჩვენ მიუყენეთ მეთოფე, ქამანდარები,

„ესროლეთ, თოფის კომლითა ვერ დაინახონ დარები!“

აქათ ესენი ესროდეს, ზეით გზა განაკარები,

რა თოფის სროლა გათავდა, შუბთა ქნეს ჯაჭვზე ჩხარები“.

თითქმის იგივეს იმეორებს ვახუშტი ბატონიშვილი:

„...განზრახვითა მოურავისათა შემოუსხნეს მეთოფენი თხრილსა და



თვით ცხენოსანი მივიდნენ განთიად მინდორსა ზედა, ეკუთვნენ ფიცხლად და იქმნა ბრძოლა ძლიერი“.

ბერი ეგნატაშვილი ასე აგვიწერს ბრძოლის მსვლელობას: „მაშინ იქმნა ომი დიდი იქით და აქეთ და დიდად მოჭირვებით და გულსრულად შეიბნენ, ძველთა გმირთაგანცა ძნელად შესაძლებლად საგონებელი იყო, რომე მაშინ მეფე და მოურავი და სრულად ქართველნი იბრძოდნენ... ეგრეთვე ამათ სასოებითა ღმრთისათა მიეცა ძლევა დიდი და ესრეთ განემარჯვათ ურჯულთა ზედა და მოსრეს სრულიად, ბანაკი მათი იავარჰყვეს. რაც ოდენი ქართლიდამ ეშოვნათ, ტყუე თუ საქონელი, იგიცა ყოველივე წამოიდეს და მათიცა მრავალი წაართუეს. და რაც ოდენი შეიპყრეს ყირიმნი, მოსრნეს პირთა მახვილისათა“.

იოსებ თბილელი ბრძოლის მსვლელობაზე გიორგი სააკაძეს ათქმევინებს: „ომი გახშირდა, შეუქმნეს ცხენ-კაცთ ტოფისა სროლანი, ზოგი ბორღდევდა ცხენს ქვეშე, ზოგსა აქეს მკვდართან წოლანი... იბრძვიან ერთპირ ქართველნი, ხმა ისმის ჩახა-ჩუხისა, თათარხნის ჯარი გაწყვიტეს, მებრძოლნი შეაწუხისა...“

განთიადისას დაწყებული ბრძოლა საღამოს 9 საათზე დამთავრდა:

„დიდას შებმულთა ცხრას უმაჟღირებლად სისხლისა დენენანი, მაშინდელს გამარჯვებასა მართლად ვერ მოსთვდის ენანი“.

ვახუშტი ბატონიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ლუარსაბსა და გიორგი სააკაძის გმირობას: „ამ ომსა შინა ფრიად მხნედ გამოჩნდნენ მეფე ლუარსაბ და უმეტეს მოურავი“.

იოსებ თბილელი განსაკუთრებულად ხაზს უსვამს გიორგი სააკაძის მოქმედებას ბრძოლის ველზე და მისი პირით გვეუბნება, როცა იგი მეფეს მიმართავს:

„ფიცით შეგკადრო, მეფეო, სამი გავსტეხე შუბია,

მას უკან ლახტით ვიბრძოდი, სისხლით ავავსე შუბია,

ლახტიც რომ გატყდა, ხმაღს ხელი მივკეცე, ვაყენე გუბია,

პატრონსა ჩემსა სხვა მტერი ნიადამც ასრე უბია!“ (იქვე:604-605). ისევე როგორც ისტორიკოსები (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი), იოსებ თბილელიც აღნიშნავს ლუარსაბ მეფის გმირობას ბრძოლის ველზე:

„მეფე გულსრულად მობანდა, შექნა შუბისა ძვერება, ვისაც მიუხდის თამამად, იგ მისგან გაიმტვერება!“

მტერმა, რომლის დიდი ნაწილი ბრძოლის ველზევე იქნა განადგურებული, ისეთი მარცხი განიცადა, რომ გონზე მოსვლა ვერ შეძლეს, დამფრთხალნი და შეშინებულნი ტყესა და ღრეში აფარებდნენ თავს. მაგრამ იქიდანაც ქალებს გამოჰყავდათ დატყვევებულები. ბერი ეგნატაშვილის თქმით „...მაშინ ჰპოვებდნენ დედანი მოსაკიდელის სოფლისანი ტყეთა შინა დამალულთა ყირიმთა კაცთა, შეიპყრობდნენ, მოჰხდიდნენ დოლბანდსა და, თუ რამე ჰქონდათ, წაართმევდნენ და კაცთა შეიწყალებდნენ და განუტყვებდნენ“ (ბერი ეგნატაშვილი, 1958:388).

აღნიშნავს იოსებ თბილელიც: ვინ რომ ტყეში შემძვრალიყო, მესამეს დღეს მოჰყავთ კრული, რახტ-უნაგირ ვერცხლოსანი, ზოგი ოქროგარდაკრული...“

ქართველებმა მტერზე ბრწყინვალე გამარჯვება ირანის შაჰს აცნობეს. „მაშინ არჩივეს, რაოდენიცა კაცნი დაეხოცათ ყირიმთაგანი, დასჭრეს თავები და წარმოუდგინეს ყაენსა და მიულოცეს გამარჯვება. და გაუძღუანეს წინა გარასპი ფავლენიშვილი და, რა მივიდა და მიართუეს ყაენსა თავები, იამა დიდად და დაუმაღლა მეფესა: გამოუგზავნა მრავალი წყალობა და მოულოცა მანცა გამარჯვება“.

ცაშისკრის ბრძოლამ უცხოურ წყაროებშიც ჰპოვე გამოძახილი. სპარსი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში დაწვრილებით გადმოგვცემს ბრძოლის მიმდინარეობას, თითქმის ისევე, როგორც ამას ქართველი ისტორიკოსები (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი) აკეთებენ.

გადმოცემით, გამარჯვებულმა ქართველებმა დიდი ღხინი გამართეს ცაშისკარში, იმ წაბლის ხეების ქვეშ, რომელთაგან ერთი დღესაც დგას სოფლის ცენტრში. ხალხში შემონახულ ამ გადმოცემას თითქოს ესმაურება იოსებ თბილელიც:

„ომი გარდასწყდა, ვამოყვსეთ ხელი და გული ღხინებსა, კვირით კვირამდი სმა იყო, ნეტარ ვინ მოიწყინებსა?

ყირმიხს ღვინოსა სურები თასხედან მოადინებსა,

რა ზარხოსობა შეგვექმნის, ხან ხელი მივკეცივთ მინებსა“.

ცხრამუხელები მიგვანიშნებენ, რომ ნახევრებზე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს ხშირად უპოვნიათ საბრძოლო იარაღი, ადამიანის ჩონჩხის ნაწილები.

თამაზ ლაცაბიძე

## ხაშურის მე-7 საჯარო სკოლის პედაგოგი, ერთ-ერთ ნომინაციაში, საუკეთესო მასწავლებლად დასახელდა

ამ დღეებში ვარაიანში, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში, მასწავლებელთა აღიარების რეგიონული კონკურსის დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

კონკურსის გამარჯვებულები და შიდა ქართლის საუკეთესო მასწავლებლები გახდნენ:

შიდა ქართლის რეგიონის საუკეთესო მასწავლებელი კითხვის (მშობლიური ენისა და ლიტერატურის) სწავლებაში - ლიანა მეტივიშვილი, ხაშურის №7 საჯარო სკოლის მასწავლებელი

შიდა ქართლის რეგიონის საუკეთესო მასწავლებელი მათემატიკის სწავლებაში - დალი პაპუაშვილი, გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალდაბის საჯარო სკოლის მასწავლებელი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ხელმძღვანელი ნენსი პარქსი, გუდავამე-პატარკაციშვილის ფონდის ხელმძღვანელი ზურაბ კერვალიშვილი, საქართველოს უნივერსიტეტის რექტორი კონსტანტინე თოფურია, საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლები, ტრენერები, სკოლის დირექტორები და მასწავლებლები.

გამარჯვებულებს საქართველოს უნივერსიტეტი / The University Of Georgia-ს მიერ დაწესებული პრიზები უნივერსიტეტის რექტორმა კონსტანტინე თოფურიამ გადასცა.

კონკურსში გამარჯვებული ხაშურის მე-7 სკოლის პედაგოგი ლიანა მეტივიშ-

ვილი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ სიმბოლური საჩუქრით დააჯილდოვა. (ინტერვიუ ქალბატონ ლია მეტივიშვილთან იხილეთ მეხუთე გვერდზე).





(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. # 1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19)

წესდების თანახმად, დეპოს მოსწავლეები უფასოდ სარგებლობდნენ ბიბლიოთეკით. ის მომსახურებები, რომელთა ხელფასი 25 მანეთზე ნაკლები იყო, წვეის უბნის უფროსის ნებართვით, ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ უფასოდ, ან ნახევარ ფასს იხდიდნენ.

ბიბლიოთეკის გამგეობა ზრუნავდა ბიბლიოთეკის ახალი წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებითა და ერთდროული გამოცემებით შევსებისთვის, რაშიც უნდა გაეთვალისწინებინათ წვერთა სურვილი და ინტერესი.

გამგეობის სხდომა იმართებოდა საჭიროების შემთხვევებში. მას უფლება ენიჭებოდა, მოეწყო საღამო-წარმოდგენები, კონცერტები, ლაბარია, სეინრობა და სხვა ღონისძიებები ბიბლიოთეკის ფინანსური მდგომარეობის გასაძლიერებლად.

ბიბლიოთეკისათვის წიგნების გამოწერა მხოლოდ რუსულ ენაზე იყო დასაშვები, ქართულ ენაზე კი შეიძლებოდა, გამოწერილიყო მხოლოდ გაზეთი, ისიც არაუმეტეს ერთი ეგზემპლარისა.

გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ზემოთ მოტანილ წერილში ნათქვამია, რომ 1891-1895 წლებში რკინიგზის ბიბლიოთეკა დახურული (დაკეტილი) ყოფილა და მხოლოდ 1895 წლის 1 ივნისისათვის გამხდარა შესაძლებლობა მისი ხელმეორედ ამოქმედებისა.

„უკანასკნელ წლებში, - აღნიშნავს გაზეთი, - სამკითხველო ებარა ხაშურის რკინის გზის ერთ მოხელეთაგანს, რომელიც ამ საქმისათვის თვეში 10 მანეთს იღებდა და რომელმაც 1891 წელს კიდევაც დაკეტა სამკითხველო. ამ ორი წლის განმავლობაში ბევრჯერ ავადმართ კითხვა იმის შესახებ, რომ სამკითხველო ხელახლა გაგვედო და გაგვეახლებინა, მაგრამ ამაოდ.

მხოლოდ ესეა ითავა ხაშურის დეპოს უფროსმა, რომლის წყალობითაც ივნისის 1 გაიხსნა კვლავ ხაშურის სამკითხველო, მაგრამ საუბედუროდ, სამკითხველოში რაც წიგნი იყო შექმნილი იხილეთ ვასილიანის დროს, იმის მუხაველიც არაფერი დაუხვდა. რა იქნა ეს დიდებული წიგნები ან ფული, რომელიც სამკითხველოს კასაში იყო - ამის მოახსენებ არავინ სჩანს“.

მიხაილოვოს დეპოს ბიბლიოთეკა-სამკითხველო მთლიანად რუსული ლიტერატურითა და პერიოდული გამოცემებით იყო დაკომპლექტებული. აქ საერთოდ არ იყო ქართული ლიტერატურა, იშვიათობას წარმოადგენდა ქართული პერიოდული გამოცემებიც - ჟურნალ-გაზეთები, მითუმეტეს რომ ბიბლიოთეკის წესდება ამ უკანასკნელის გამოწერის უფლებას იძლეოდა.

მიხაილოვოს რკინიგზის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შესახებ ზემოთ მოტანილ წერილში საუბარია მეტად საყურადღებო ფაქტზე. კერძოდ, იგი გვწვდის საინტერესო ინფორმაციას - რკინიგზის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთან ქართული განყოფილების დაარსების შესახებ.

ჯერ კიდევ 1890 წლის 9 ოქტომბერს, გაზეთი „ივერია“ ეხებოდა რა ხაშურის რკინიგზაზე დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პრობლემებს, წერდა: „სუყვედა ეხენი თავიანთ სიცოცხლეს გზაში ლაზღანდარობაში და მასხარობაში ატარებენ, მათგან ბევრი შესძინებულ-განათლებული და წერა-კითხვის მცოდნე კაცია და რომ მოენდომებინათ, ბევრს კეთილს საზოგადო საქმეს გააკეთებდნენ. პირველს უმთავრეს კეთილ საქმედ მიმანია მათთვის ხაშურში ქართულის წიგნთ-საცავის გამართვა, საიდგანაც რკინის გზაზედ მოსამსახურე ქართველები ქალი და კაცი იკითხავდნენ კარგს სასიამოვნოდ და სასარგებლო წიგნებს თავისუფლად დროს და მით უცოდინარ-გაუგებელნი ადარ მოშორდებოდნენ წუთისოფელს. დაახლოვებით რომ ვსთქვათ, ბუკთაუბრისა და ხაშურს შორის მთელს გზაზედ იქნება არა ნაკლები ორასი კაცისა, რომელთაც, ვიმეორებთ, ადვილად შეუძლიათ, ქართულის წიგნთ-საცავ-სამკითხველო გაამართონ...“

როგორც ვხედავთ, ქართველ საზოგადოებაში გარკვეული აზრი ტრიალებდა რკინიგზის სამკითხველოსთან ქართული განყოფილების გახსნის თაობაზე. რაც 1893 წელს წარმატებით გადაწყვეტილა კიდევ. იოსებ ფანცულია წერს: „ხუთი წელიწადი არის, რაც ვცდილობთ, რომ ამ ხსენებულ სამკითხველოსთან დაგვეკავშირებინა ქართული განყოფილება, მაგრამ არ იქნა, არ მოხერხდა. მხოლოდ წელს-კი დიდი ხნის სურვილი შეგვისრულდა ხაშურის დეპოს ქართველ მოხელეებს, დაარსდა ქართული განყოფილება. ჩვენდა სასიამოვნოდ, ხაშურის სამკითხველოში ვკითხულობთ დღეს „ივერიას“, „კვალს“ და „ჯეჯილს“. მაგრამ ჯერჯერობით ქართული წიგნები კი არა გვაქვს“.

ამ მდგომარეობის გამოსწავლად, სამკითხველოსთან ქართული განყოფილების დაარსების შესახებ მისევერები სისტემატიურად აწყობდნენ საღამო-წარმოდგენებს და შემოსული თანხით ქართული წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს იძენდნენ. ასეთი წარმოდგენა 1893 წლის 24-27 ივნისს გამართულა და შემოსული თანხით - 35 მანეთით ქართული წიგნები უყიდიათ სამკითხველოსთვის.

რამდენიმე ხნის შემდეგ, გაზეთი „ივერია“ კვლავ მიუბრუნდა ხაშურის რკინიგზის ბიბლიოთეკას და იმავე წლის 29 დეკემბერს წერდა: „კია ხანია, რაც ხაშურის რკინის გზის სადგურზედ არის დაარსებული აქაურ სარკინიგზო დეპოს მიერ წიგნთსაცავი, რომელშიაც რუსულ წიგნებთან ერთად ქართული წიგნები, ქართული ჟურნალ-გაზეთებიც არის. რკინის გზაზედ მომსახურე ხალხი სიამოვნებით დაიარება ამ წიგნთსაცავში წიგნების და ჟურნალ-გაზეთების საკითხავად და ამისთვის თვეში თითოეული იხდის ერთს აბაზს. ვისურვებთ სულით და გულით ამ წიგნთსაცავის საქმის წარმატებას“.

გაზეთი „ივერია“ სიამოვნებით აღნიშნავს, რომ „აქაურ სარკინიგზო რუსულ სამკითხველოსთან“ ქართული განყოფილების დაარსების მოთავე და ინიციატორი იოსებ ფანცულიაა, რომელიც იმდროინდელი ხაშურის კულტურულ ცხოვრებაში ძალზე აქტიურ მონაწილეობას დებულობდა. გაზეთი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ სწორედ მისი „წაქეზებით“ დაიწყო რკინიგზის მოსამსახურეებმა სამკითხველოში სიარული. თუმცა აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ი.ფანცულიას ამ მონდომებას მოსამსახურეთა ერთი ნაწილისგან გარკვეული წინააღმდეგობა ხვდებოდა, რაც ბიბლიოთეკის მკითხველების საერთო განწყობაზე უარყოფითად მოქმედებდა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში, ხაშურში, დღის წესრიგში დადგა, აგრეთვე, საქალაქო (საზოგადო) ბიბლიოთეკის დაარსების საკითხი. ასეთი ბიბლიოთეკის დაარსების აუცილებლობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ რკინიგზის ბიბლიოთეკა მაინც უწყებრივი იყო და საზოგადოების ფართო ფენები ვერ სარგებლობდნენ.

1897 წლის 2 მარტს ჟურნალი „კვალი“ ერთგვარი სიმპატიით მოიხსენიებს რკინიგზელთა ბიბლიოთეკას. თუმცა საყვედურსაც გამოთქამის იმის გამო, რომ რკინიგზელთა გარდა მისთ სარგებლობა სხვებისათვის ფასიანია. „რკინიგზის მოხელეებისათვის ყველაფერი კარგადაა მოწყობილი, იმათ აქვთ თავიანთი ავთოაქი, ჰყავთ ექიმი, აქვთ საღარო, პატარა სამკითხველო და სხვა. გარეშე ხაშურლები კი ყველა ამას მოკლებულნი არიან. აქაური გლეხი რომ ავად გახდეს, ექიმი ხაშურში უნდა ეძებოს; სამკითხველოში თუ შევიდა, ფასი უნდა გადაიხადოს.“

საზოგადოებას, ამ შემთხვევაში, რკინიგზის მოსამსახურეთა იმედი ჰქონდა და განსაკუთრებით კი კვლავ იოსებ ფანცულია ეგულებოდათ ნუკეშად. მათ კარგად იცოდნენ, რომ ბიბლიოთეკის გახსნის სურვილი ერთი იყო, ხოლო მისი განხორციელება - მეორე. ამიტომ იყო, რომ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1897 წლის 14 დეკემბერს წერდა, რომ „საქმე თეთონ თავისთავად არ წავა, ამას... „მეთაური“ უნდა, რომლის მოვალეობასაც ბატონი ფანცულია რომ იკისრებდეს და განახორციელებდეს ამ საქმეს, დიდი მადლობის ღირსი იქნებოდა.“

როგორც ჩანს, ხაშურის საზოგადოების არაერთი წარმომადგენელი ყოფილა

დაინტერესებული აღნიშნული საკითხით და კიდევ ცდილობდნენ საზოგადო (საქალაქო) ბიბლიოთეკის გახსნას.

1897 წლის 30 სექტემბერს, აღნიშნულის თაობაზე, გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერდა, რომ ხაშურლები დიდად განიცდიან ბიბლიოთეკის უქონლობას. „საზოგადოდ აქაურლებს დიდი ხალისი აქვს წიგნების კითხვისა და განათლებისა, მაგრამ სამკითხველოს უქონლობა ხელს არ უწყობს. აქნობამდის არავინ გამოჩნდა იმისთანა, რომელსაც ეზრუნვა აქაურს სწავლა-განათლებაზედ და გონებრივ წარმატებაზედ. მხოლოდ ფოსტა-ტელეგრაფის აქაური მოხელე ბატონი იოსებ მესხი ამ ბოლო ხანში ცდილობდა სამკითხველოს დაარსებას. ბევრსაც მოუწერია ხელი თვიურ შემოწირულობაზედა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, გადაყვანილ იქმნა ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე. დიდი მადლობის ღირსია ბ. მესხი ამ საქმისთვის. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ გვიპატრონებდეს ვინმე და განაგრძობდეს ბატონ ი. მესხის დაწყებულ საქმეს.“

„ცნობის ფურცელი“ აღნიშნულ საკითხს კვლავ მიუბრუნდა 1898 წლის 8 მარტს და წერდა: „გრივად იოსების ძე რაზმაძე ძრივად მოწადინებულია, რომ აქ დაარსოს სამკითხველო და სცდილობს კიდევ აასრულოს თავისი წადილი, რა თქმა უნდა, მცხოვრებნი მადლობელნი ვიქნებით, თუ ბ-ნი რაზმაძე დროისით დააგვირგვინებს ამ კეთილ საქმეს.“

იგივე ცდილობდა ცნობილი მუშა-პოეტი სტეფანე ნოზაძე, რომელიც „ფონტეფოს“ ფსევდონიმით თანამშრომლობდა რევოლუციამდელ ქართულ პრესაში და აქტიურად თანამშრომლობდა ხაშურის სცენაზე კორესპონდენტის ავტორი ნიკო სისარულიძე გურულ-ქართველის ხელმოწერით „ცნობის ფურცელში“ სტ. ნოზაძის შესახებ წერდა: „დიდი ხანია, რაც აქ რკინიგზის სამკითხველო არსებობს, მაგრამ რათ გვინდა ამისთანა არსებობა? აქ ერთს ხეირიანს ქართულს ვერც შურნაღს, ვერც გაზეთს და ვერც წიგნებს ვერ მოიპოვებთ, თუ სადმე თვალს მოჰკრავთ, ისიც დახეულს. აქ დიდი ხანია, თითქმის ნოეს აქეთ, ფიქრობდნენ, ფიქრობდნენ და იფიქრებენ წიგნთსაცავის დაარსებას, მაგრამ ის არის, რომ ვეღარ ეშველათ, ვერ დაარსეს და ვერა. ან კი რათ უნდათ სამკითხველო? აქ მადლობა ღმერთს, ტრახტირები და ბუფეტები ბევრია, სადაც შეუძლიათ თავის განვითარება.“

აქ ბატონი ს. ნოზაძე დიდი ხანია ცდილობდა, ცდილობდა და კიდევაც ეცდებოდა სამკითხველოს დაარსებას, მაგრამ ვერაფერი გააწყო. რატომ ვერ გააწყო? იმიტომ, რომ ერთი კაცი ვერაფერს გახდა, რამდენიმე ახალგაზრდობა კი მოიძნრო, მაგრამ ზოგიერთმა ჰკუთს-კოლოფა ვაჟბატონებმა სასაცილოდაც აიგდეს ნოზაძეც და მისი მომხრენიც. ნეტავ აქ შემძლე ქართველობა არა სცხოვრობდეს? აქ თითქმის მთელი მომსახურენი და მცხოვრებნი სულ ქართველებია და მიკვირს, რატომ არ ვეღვრება ხაშურს ერთი საკუთარი ქართული სამკითხველო, რომელიც უპირველესს საჭიროებას შეადგენს აქაური ბუხიელაპია ახალგაზრდებისათვის.“

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სტეფანე ნოზაძე დიდ მუშაობას ეწეოდა მოსახლეობაში განსაკუთრებით კი დაბალ ფენებში ე.წ. ქართული სახალხო წიგნების გავრცელების თვალსაზრისით. 1899 წლის 9 მაისს სტ. ნოზაძე გაზეთ „ცნობის ფურცელში“ მადლობას უხდოდა წიგნების გამოცემლობა „გლეხის“ ამხანაგობას, რომელსაც მისთვის გადაუცია გასაზრცელებლად თოვოფლე ხუსკივაძის წიგნები. ამ წიგნებიდან სტ. ნოზაძეს 12 ცალი ხაშურის რკინიგზის მოსამსახურეებისათვის, ხოლო 38 ცალი ბუკთაუბნის სკოლის მოსწავლეებისათვის მიუცია.

ქართული ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებას ცდილობდნენ სხვებიც. ჟურნალ „კვალის“ მიხედვით ასეთი სურვილი გააჩნდათ იხილეთ გენრის მუატს, რკინიგზის ეკლესიის მღვდელს გრივად კიკნაძეს, ირ. ბერიძეს, იაკობ კვალაიშვილს და სხვებს.

გაზეთი „ივერია“ 1899 წლის 25 აგვისტოს მიუთითებდა რა რკინიგზის გაყვანის კეთილმყოფელი გავლენის შესახებ ხაშურის განვითარებაზე. აღნიშნავდა: „ყველა ამ სიკეთესთან ერთად დიდი ნაკლიც აქვს ხაშურს: ერთი რომ წიგნთსაცავი არ არსებობს აქ...?“

იგივე ჟურნალი „კვალი“ იმავე 1902 წელს, როცა ეხებოდა რკინიგზელთა ბიბლიოთეკის მდგომარეობას, მიუთითებდა, რომ იგი ნაკლებად ემსახურებოდა მოსახლეობის ფართო მასებს და კვლავ დღის წესრიგში აყენებდა სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის აუცილებლობას. ამ შემთხვევაში ჟურნალი გარკვეულ საყვედურს გამოთქამდა ადგილობრივი ინტელიგენციის მიმართ და ქმწკს-ზე ამყარებდა იმედს. „აქ, ამასწინათ, - წერს კორესპონდენტი, - რამდენიმე შეგნებულ პირები გვესტუმრენ, რომელთაც რაკი კარგად გაიგეს, რომ სამკითხველოს ხსენებულ საზოგადოება უსათუოდ დაგვიარსებთ „სახალხო წიგნთსაცავის სამკითხველოს“.

ამ სიმპატიურ საქმის განხორციელებისათვის სხვისი შეწეება არ დაგვჭირდებოდა, რომ აქაურ დაბალ ხალხს თვითცნობიერება არ აკლდეს და თან ნივთიერი შეძლება ხელს უწყობდეს, რაც შეეხება აქაურ შეძლებულ „მოწინავე ჯგუფს“ - „ინტელიგენციას“, ის არასა ზრუნავს, თორემ ხაშურის დაარსებიდან დღემდე ნაყოფსაც დაგვანახებდა და მით დაგვიმტკიცებდა ერთგულებას... ის კი არა, ესენი ორიოდ პირის გარდა, წინააღმდეგ ასე გაიძახიან: ჟურნალ-გაზეთები ჩვენთვის ხომ გვეშოვება, და რა საჭიროა, რომ დაბალმა ხალხმაც აზრიანი ნაწერები იკითხოს?! ესენი, რასაკვირველია, ისეთი ვითომდა „ინტელიგენტები“ არიან... ამიტომ, მხოლოდ „ქმწკს“-ის იმედითა და ვერჩენილვართ“.

როდის გაიხსნა საქალაქო ბიბლიოთეკა ხაშურში, სამწუხაროდ ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ. უნდა ვიფიქროთ, რომ საზოგადოებრიობის მონდომებამ თავისი შედეგი გამოიღო და 900-იანი წლების დასაწყისში (ყოველ შემთხვევაში 1902 წლის შემდეგ) რკინიგზის ბიბლიოთეკის პარალელურად გაიხსნა დამოუკიდებელი საზოგადო (საქალაქო) ბიბლიოთეკა, რომელშიც ძირითადად ქართული წიგნები და პერიოდული გამოცემები იყო წარმოდგენილი. აქვე იყო რუსული წიგნები და პერიოდული გამოცემებიც.

გაზეთი „საქართველო“ 1915 წლის 14 აგვისტოს აღნიშნავდა, რომ ხაშურში სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გვერდით „აგრეთვე არის საზოგადო სამკითხველო“.

ამ სამკითხველოს დაფინანსების წყარო ძირითადად ისეთივე იყო, როგორც რკინიგზის ბიბლიოთეკისა. მის საქმიანობასაც გამგეობა განაგებდა. 1917 წლისათვის სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე იყო ცნობილი პედაგოგი, ხაშურის გიმნაზიის მასწავლებელი გიორგი იოსელიანი, ხოლო წევრები იოსებ ძნელაძე და ტრიფონ ჯაფარიძე.

ხაშურის საზოგადოების ერთი ნაწილი ყოველთვის სათანადო ყურადღებას იჩენდა ბიბლიოთეკის მიმართ. ისინი ხშირად სწორავდნენ წიგნებს, იწვინდნენ მისთვის ჟურნალ-გაზეთებს, აწყობდნენ საღამო-წარმოდგენებს მისი მატერიალურ-ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით და სხვა.

1915 წლის 8 ივნისს, ხაშურის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობის სახელით მისი წევრი ტიფონ ჯაფარიძე გაზეთ „საქართველოს“ საშუალებით მადლობას უხდოდა პეტრე კოპაძეს, რომელსაც გაზეთი „მეგობარი“ გამოუწერია ბიბლიოთეკისათვის, აგრეთვე ლევან მჭერეველს და პაველ ცქვიტარიას, რომელთაც გამოუწერიათ გაზეთ „ახალი კვალის“ თითო-თითო ეგზემპლარია.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)



# ლია მეტივიშვილი: პედაგოგიკა მთელი ჩემი სხოვრებაა...

ლია მეტივიშვილი ხაშურის მე-7 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების წამყვანი პედაგოგია. დაიბადა 1987 წელს. წარჩინებით დაამთავრა ოსიაურის საჯარო სკოლა და სწავლა გააგრძელა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. არის ქართული



ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. ლია 4 წელია ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, მას წელს ჰყავდა პირველი დაწყებითი საფეხურის დამამთავრებელი კლასი. თავისუფალი დრო დიდ არ აქვს, მაგრამ ყველაზე მეტად უყვარს თავისუფალ დროს კითხვა და მუსიკის მოსმენა.

— რა არის თქვენთვის პედაგოგიკა?  
— პედაგოგიკა მთელი ჩემი ცხოვრებაა. ბავშვობიდან ვფიქრობდი, რომ ეს პროფესია უნდა ამერჩია. რადგან ჩემს ბავშვობაში პედაგოგიკის განხრით ბევრ რამეზე გული მტკენია, მინდოდა რომ პროფესიულ მიდგომებში ცვლილებები შემეტანა და ბავშვებს სულ სხვა კუთხით დაენახათ მასწავლებელი. რამდენად გამომივიდა, ამას ალბათ ჩემი მოსწავლეები განსჯიან...

— გვიამბეთ კონკურსის შესახებ...  
— გაზაფხულის დასაწყისში, როდესაც კონკურსი გამოცხადდა, ჩემი სკოლიდან წარდგენილი ვიყავი საბაზისო განათლების პროექტის ფარგლებში ლიდერ მასწავლებლთა ტრენინგზე, რა დროსაც, ჩვენმა ტრენინგმა, ანა სანიკიძემ (Usaid-ის საბაზისო განათლების პროექტის ტრენერი), წარადგინა კონკურსის შესახებ პრეზენტაცია, მონაწილეობა შემოგვთავაზა და მეც დავეინტერესდი. როდესაც მას ვკითხე რჩევა, შეიძლება თუ არა ჩემი საქმიანობით, წლების განმავლობაში ჩემს მიერ შექმნილი რესურსებით, კონკურსში მონაწილეობა, მას ძალიან მოეწონა იდეა და ჩემი წარდგენა თავად ქალბატონმა ანამ გააკეთა, მოგვიანებით კი კონკურსზე წარდგენა ოფიციალურად სკოლის დირექტორმა ქალბატონმა მანანა ლაცაბიძემ და ერთ-ერთმა მშობელმა განახორციელეს.

კონკურსი გამოცხადდა Usaid-მა საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში და მოიცავდა სამ რეგიონს: კახეთს, შიდა ქართლსა და იმერეთს, რა დროსაც გამოვლინდებოდა გამარჯვებული ორ ნომინაცია-



ში: საუკეთესო მასწავლებელი კითხვის მიმართულებითა და მათემატიკის მიმართულებით. მინდა აღვნიშნო, რომ თავდაპირველად, კონკურსში მონაწილეობის შეთავაზებაზე უარი ვთქვი, რადგან ჩემი თავი ვერ წარმომდგინა კონკურსის მონაწილე, მაგრამ ქალბატონმა ანამ იმდენად დამაინტერესა, რომ გავბედე მონაწილეობა და დღეს ძალიან მახარებს ეს ფაქტი. და სხვა მასწავლებლებსაც ვუსურვებ, რომ უფრო მეტი გამბედაობა შეიტანონ პროფესიაში.

— რა სახის მასალები წარადგინეთ საკონკურსოდ?  
— კონკურსის პირობა იყო, რომ ერთი თვის განმავლობაში უნდა გავგეგმავინა ჩვენი რესურსები, აქტივობები თავისი დასახელებებით, მეთოდებით, მიდგომებით... გავგეგმავინე საერთო ჯამში 4 წლიანი ჩემი მუშაობის არტეფაქტები. ვფიქრობ, რამაც ყველაზე მეტად დააინტერესა კონკურსის შემფასებლები, ეს არის „საანბანო ვიდეოები“, რომელიც მე დავიწვე წელს დისტანციური სწავლების დროს. ბავშვებს მოუწოდებდი ვიდეოები, რომლის

იდეაც და განხორციელებაც მოლიანად მე მეკუთვნის. ვიდეოების ნაწილია ჯერ გაკეთებული, მაგრამ სექტემბრისათვის იქნება 33 ასო წარმოდგენილი. ვიდეოები ატვირთულია „იუთუბ“ არხზე და ხელმისაწვდომია როგორც საქართველოში მცხოვრები, ისე ემიგრანტი ბავშვებისათვის. „საანბანო ვიდეოებს“ ძალიან დიდი დაინტერესება და გამოსმაურება აქვს. მათ, „ლიაკოს გაკვეთილები“ ჰქვია. მაქვს ასევე შექმნილი სოციალურ ქსელებში საკუთარი ვებ გვერდები და ვაწარმოებ, ამავე დროს, მე-7 საჯარო სკოლაში ლიტერატურულ კლუბს „წიგნის გუდას“, სადაც განთავსებულია ყველა ჩვენი აქტივობა, რომლის ნახვისა და გაზიარების შესაძლებლობა აქვს როგორც მოსწავლეებს, ისე პედაგოგებს.

— მოსწავლეები რა ემოციით შეხვდნენ თქვენს წარმატებას?  
— ჩემი მოსწავლეების, მათი მშობლების გარეშე ვერაფერს მივალწვედი. წარმოდგენილი მასწავლებლებმა შენთვის მარტო რაიმე შექმნა, თუ შენს გვერდით არ დგას სკოლა, თანამშრომელი, მოსწავლე, მშობელი. ყოველთვის ვამბობ მასწავლებლებს პლიუს მშობელი უდრის წარმატებულ მოსწავლეს, რაც ჩემთვის აქსიომაა. ჩემი მოსწავლეები იმდენად აღფრთოვანებულები იყვნენ კლიპის კეთებისას, რომ ალბათ, ჩემთან ერთად გაიზიარეს სიხარულიც, რაც ვფიქრობ, რომ მათთვისაც დიდი მოტივაციის მიმცემია.

— რა გახდა თქვენთვის ინსპირაციის წყარო, რომ მსგავსი მეთოდებით გესწავლებინათ ბავშვებისათვის?

— საგნის მასწავლებლობამდე, 4 წლის განმავლობაში, ვიყავი სპეც პედაგოგი და მიწვედა მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეებთან. გავლილი მაქვს ამ მიმართულებით ძალიან ბევრი ტრენინგი, რამაც მე შესაძლებლობა მომცა უკეთ გავრკეულიყავი მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში... ყოველთვის ვფიქრობ, კლასში შევიტანო ისეთი რესურსი, რაც მე ყველა მოსწავლემდე სათქმელის მიტანაში დამეხმარება. ვფიქრობ, ვინმე კლასში არ გამომჩნეს, არ გამოვყო უნარების მიხედვით... ამიტომ მთელი ჩემი ინსპირაცია იყო, შემექმნა რესურსი, რაც ყველა მოსწავლისათვის იქნებოდა მიმზიდველი. შემდეგ კი სხვადასხვა აქტივობებში ყველა მოსწავლე განსხვავებულ უნარს ავლენს, მაგრამ, ძირითადად, მინდოდა ეს რესურსები



ყოფილიყო ხელმისაწვდომი, აღქმადი ყველა მოსწავლისათვის და მათ უნარებს, შესაძლებლობებს მორგებული. ამიტომ, თავისთავად გამომივიდა ეს, თამაშით სწავლება, რესურსების კეთება. შეიძლება ვინმესთვის წარმოუდგენელი იყოს, მაგრამ ჩვენ მეტყველების ნაწილები ვისწავლეთ კეთებით: მაგალითად: ჩაის კეთებით, ნამცხვრის კეთებით...დაგემოვნების პროცესში ვაკვირდებოდით, მაგალითად ზედსართავ სახელებს: ტკბილი, მწარე, მუავე... აი, ასე ვისწავლეთ...შესაბამისად ანბანის სწავლებისას ყველა ასო შეითვისეს სხვადასხვა რესურსით.

— და, ალბათ, შედეგიც შესაბამისი დადგა...  
— დიახ, შედეგიც განსხვავებულია. მაგალითად, კლუბის ფარგლებში 8 წიგნი წავიკითხეთ პატარებთან ერთად და დავამუშავეთ. ამ 8 წიგნის გარდა რამდენიმე ჟურნალი „შოკოლიტი“.

— მომავალში რას გააკეთებთ, რა კრეატივს შესთავაზებთ მოსწავლეებს?

— ჩემი გეგმა ამ ეტაპზე მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება უახლოს ხანებში დავასრულო საანბანო ვიდეოები და ამ ზაფხულს გამოვიყენებ იმისათვის, რომ ეს რესურსი იყოს სრულად წარმოდგენილი... და მომავალში, სკოლაში დაბრუნებისას, თავად მოსწავლეებიდან წამოვა იდეები... მე ვუსმენ მათ... ვფიქრობ რას შემეკითხებიან, რა დგას მათგან დასმული კითხვის უკან... წინასწარ არაფერს ვგეგმავ, ვუსმენ მათ... როდესაც მოსწავლე გაწვდის იდეას თუ რა სურს გააკეთოს, თვითონვე არის უკვე პასუხისმგებელი მის მიერ დაგეგმილი აქტივობის განხორციელებისას. ამიტომ, მირჩევნია რომ მოსწავლეებისგან იყოს წამოსული სხვადასხვა იდეები და მე მათ განხორციელებას შევეუწყო ხელი...

მინდა აქვე აღვნიშნო, რომ, თუკი რამე გამოცხადებულა არაფორმალური განათლების კუთხით და ის ჩემთვის ყოფილა ხელმისაწვდომი, მე ყველგან ვიღებდი მონაწილეობას. ეს მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ, ეს არის განათლება, რომელიც სხვა კუთხით განხვენებს მოსწავლეს და თვითონ მოსწავლეს სხვა კუთხით გხედავს. როდესაც ჩემი გაკვეთილები დავიწვე ეზოში, ტყეში, სხვადასხვა მნიშვნელოვან ადგილას, არა მარტო ჩემთვის იყო საინტერესო, თვითონ მოსწავლეებისათვისაც არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა და მათგან კიდევ უფრო მეტი სტიმული წამოვიდა. არ არსებობს ტრენინგი, შეხვედრა, საიდანაც სულ პატარა ცოდნას მაინც არ წამოვიღებ... ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი დაბადებულა იმ დროს და ადგილას, რომელიც განათლებას საერთოდ არ უკავშირდებოდა. ქუჩაში, სკოლის ეზოში...

“ხაშურის მოამბე”, თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად, ულოცავს ქალბატონ ღიას ამ წარმატებას და იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში იგი უფრო დიდ გამარჯვებებს გვაზიარებს.



# „ტაშისკრობა - 2021“



## (მასალები „ტაშისკრობა -21“ -ის შესახებ იხილეთ პირველ და მე-2 გვერდებზე)

### პარლამენტმა „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებების პროექტი მესამე, საბოლოო მოსმენით დაამტკიცა

საარჩევნო რეფორმას 86-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. პარლამენტის სამმა წევრმა ხმა წინააღმდეგ მისცა, ესენი არიან: პარლამენტის უფრაქციო წევრი თავო ჩარკვიანი, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატები ნატო ჩხეიძე და როსტომ ჩხეიძე.

საპარლამენტო ოპოზიციიდან ფრაქციამ „ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ და ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა საქართველოსთვის“ საარჩევნო ცვლილებებს მხარი არ დაუჭირა.

საარჩევნო რეფორმის შედეგად: იზრდება პროპორციული წილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, მაჟორიტარული არჩევნებისთვის კი 40%-იანი ბარიერი დაწესდა.

საარჩევნო კომისია დაკომპლექტდება 8+9 პარტიტეტის პრინციპით. ცესკოს თავმჯდომარე ახალი წესით აირჩევა. საარჩევნო ადმინისტრაცია კი, სამივე დონეზე შერეული სახის იქნება - 7 პროფესიული და 9 პარტიების მხრიდან დანიშნული წევრით. ამასთან, შემოღებული იქნება ცესკოს თავმჯდომარის ოპოზიციური მოადგილის პოზიცია.

პროექტი ითვალისწინებს წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა წრის შეზღუდვას, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ამკრძალავ ახალ წესს. კანონპროექტი საუბარია კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის

გადაადგილების ფიზიკურად შეფერხების აკრძალვაზე. დაუშვებელი ხდება კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.

მოხდება ელექტრონული ტექნოლოგიების, ასევე უზნების 10%-ით შემთხვევითი გამოვლენის და მათი გადათვლის პრინციპის გამოყენება. აიკრძალება უზნის დოკუმენტაციის დალუქვის შემდეგ უზნის მიერ შესწორების ოქმის შედგენა და ოქმის მიერ შესწორების ოქმის მხოლოდ გადათვლის შედეგად შეცვლა.

განისაზღვრება უზნების სავალდებულო გადათვლის მკაფიო კრიტერიუმები: განისაზღვრება უზნის დოკუმენტაციის დალუქვის წესების დაცვის პასუხისმგებლობის პირი; იზრდება საჩივრების მიღების ვადები. შეიქმნება მინდობილობების რეესტრი.

კანონპროექტის გათვალისწინებით, მოხდება საჩივრების ელექტრონული შეტანა, გასაჩივრება სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის თქმა.

შეიქმნება ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი, დავებზე და გადათვლებზე დაკვირვებისთვის.

პროექტის მესამე მოსმენით მიღებამდე, პლენარულ სხდომაზე დამატებითი განხილვისათვის გადადებულ საკითხებზე იმსჯელეს და მხარი ორ დანართს დაუჭირეს. ერთი დანართით რეგულირდება თვითმმართველი თემებისა და თვითმმართველი ქალაქების (გარდა თბილისისა) საკრებულოს მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემებით არჩეული შემადგენლობები, ხოლო მეორე დანართით - საკრებულოს არჩევნებისთვის თვითმმართველ თემებში (გარდა თემების ადმინისტრაციული ცენტრებისა) ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების სახელწოდებები და საზღვრები.

### საქართველოს 20 წლამდელთა ნაკრები წვრილს ხაშურში გადის

ხაშურის სპორტულ კომპლექსში, შეკრებას გადის საქართველოს 20 წლამდელთა საკალათბურთო ნაკრები, რომლის სამწვრთნელო შტაბს ხელმძღვანელობს საქართველოს ნაკრები გუნდის სამწვრთნელო შტაბის წევრი მილოშ გრიგორიევიჩი.



„ხაშურში ჩამოსულია საქართველოს 20 წლამდელთა ახალგაზრდული ნაკრები, ვარჯიშები ნაყოფიერად მიმდინარეობს, რადგან ყველანაირ პირობას გვიქმნიან. მაღლობას გუხდით ქალაქის მერიას და სპორტსკოლის ადმინისტრაციას.“ - აღნიშნა მილოშ გრიგორიევიჩი.

მა. 20 წლამდელთა ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშები 6 ივლისამდე გაგრძელდება, შემდეგ კი, ხაშურის სპორტულ კომპლექსში, 18 წლამდელთა და 16 წლამდელთა ასაკის, საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მასპინძელი იქნება.



აღნიშნული წვრთნები პროფესიული სპორტის განვითარებას და მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. აქტივობების მხარდამჭერია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე. მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail [Khashurismoambe2015@gmail.com](mailto:Khashurismoambe2015@gmail.com) მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.